სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს

უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

N 001

24-02-2023 წ.

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, სოფ. შინდისის ტერიტორიაზე შპს „აჭარა ფროფერთის“-ის მიერ დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ს/კ: 81.02.06.608; 81.02.06.613; 81.02.06.614 საერთო ფართობით 483186 მ², საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის 9.2. ქვეპუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)) და მე-2 დანართის, მე-10 პუნქტის, 10.6. ქვეპუნქტით (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგენთ შპს „აჭარა ფროფერთის“ სოფელ შინდისის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას და ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია;

პატივისცემით,

შპს „აჭარა ფროფერთის“ დირექტორი

დავით გოგიშვილი

გარემოს ეროვნული სააგენტო
„24“ 02 2023
№ 1485